ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტი

კლინიკური აუდიტორის/ექსპერტის ტექნიკური დავალება

მომზადებულია საერთაშორისო ფონდ კურაციოს მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

სარჩევი

1. შესაავალი 3
2. კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის მიზანი და ამოცანები 3
3. კლინიკური აუდიტორის/ექსპერტის მოვალეობები და პასუხისმგებლობები 4
4. ანგარიშგება და განრიგი 5
5. პროექტის მართვა 5
6. პასუხისმგებლობები: 6
7. კლინიკური აუდიტორის/ექსპერტის მოთხოვნები 7

პიროვნული თვისებები: 7

8. დამატებითი ინფორმაცია: 7
9. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: 7

დანართი: რეზიუმეს ფორმატი 8

1. შესაავალი

2020 წლის 23 ივნისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP)-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის დოკუმენტის მიხედვით UNDP საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაეხმარება: ა) ახლად შექმნილი სამედიცინო ჰოლდინგის ორგანიზაციული განვითარების გეგმის შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მართვის გაუმჯობესებას და ბ) კლინიკური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დანერგვაში, რაც სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას დაეხმარება.

შემთხვევების კლინიკური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დანერგვა მოხდება COVID-19-ისა და სხვა დაავადებათა შემთხვევების კლინიკური აუდიტის ექსპერტთა ჯგუფის ჩამოყალიბების, მათთან მუდმივი კონსულტაციების, შემთხვევების კლინიკური მართვის არსებული პრაქტიკის შეფასების და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების გზით.

აღნიშნულ პროექტს ახორციელებს საერთაშორისო ფონდი კურაციო.

2. კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის მიზანი და ამოცანები

კრიტერიუმებზე დაფუძნებულ კლინიკური აუდიტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზების ძიებისას. შესაბამისად, კლინიკური აუდიტის მიზანია შეაფასოს არსებული სამედიცინო პრაქტიკა რამდენად შეესატყვისება საერთაშორისო თუ ეროვნული მკურნალობის სტანდარტებს და რეკომენდაციებს. კლინიკური აუდიტი ტარდება კონკრეტული ნოზოლოგიის ან შემთხვევების სამედიცინო დოკუმენტაციის აუდიტის საფუძველზე.

წინამდებერე კლინიკური აუდიტი მიზნად ისახავს შეაფასოს COVID-19 დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის ადეკვატურობა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული COVID-19-ის კლინიკური მართვის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შემუშავებულ ეროვნულ სტანდარტთან მიმართებაში, გამოავლინოს მკურნალობის ძლიერი და სუსტი მხარეები და შეიმუშაოს რეკომენდაციები შემთხვევათა მართვის ხარის გასაუმჯობესებლად.

კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის განხორციელების ძირითადი ეტაპები

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტი ჩატარდება კლინიკური აუდიტორების/ექსპერტების ორი დამოუკიდებელი გუნდის მიერ.

თითოეული გუნდი წარმოდგენილი იქნება საქართველოში მოღვაწე ქართველი სპეციალისტების (მინიმუმ 3 სპეციალისტი) მიერ და მათგან ერთი ექსპერტი (გუნდის ხელმძღვანელი) პასუხისმგებელი იქნება გუნდის გამართულ მუშაობაზე. (გუნდის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს სულ მცირე ერთი ინფექციონსტი და ერთი კრიტიკული მედიცინის სპეციალისტი). ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით

აუცილებელია ამ გუნდში შემავალ სპეციალისტებს ჰქონდეთ კლინიკური მუშაობის გამოცდილება შესაბამისი სპეციალობის მიხედვით, მაგრამ არ იყვნენ ამჟამად ჩართული ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული COVID-19-ის შემთხვევების მართვის პროცესში საკვლევ რეგიონში.

გუნდის ყველა წევრი ვალდებულია განიხილოს შემთხვევითი წესით შერჩეული თითოეული შემთხვევა წინასწარ შემუშავებული სტანდარტული შეფასების ფორმის გამოყენებით, გამოავლინოს კლინიკური მართვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ჩამოაყალიბოს კონკრეტული შემთხვევის მართვის გასაუმჯობესებლად საჭირო რეკომენდაციები და განიხილოს სამედიცინო დაწესებულების პერსონალთან.

გუნდის ყველა წევრის მიერ ყველა შემთხვევის აუდიტის დასრულების შემდეგ თითოეული გუნდის ხელმძღვანელი ვალდებულია შეაჯეროს აუდიტის შედეგები თითოეული შემთხვევისთვის ცალ-ცალკე. ამ პროცესში ექსპერტები გუნდის შიგნით ერთობლივად განიხილავენ სადავო ან განსხვავებული შეფასებებს, ამზადებენ შეჯერებულ ანგარიშს თითოეული შემთხვევისთვის და აწვდიან ჯანდაცვის სამინისტროს პოლიტიკის სამმართველოს წარმომადგენელს.

ორივე გუნდიდან მიღებული აუდიტის შედეგები გაანალიზდება საერთაშორისო ფონდ კურაციოს ექსპერტთა გუნდის ხელმძღვანელის მიერ, მომზადდება შეჯამებული ანგარიში და რეკომენდაციები. საბოლოო ანგარიშის მოსამზადებლად ორივე გუნდის წევრებს გაეგზავნება ანგარიში რეცენზიისთვის და შესაბამისი კომენტარების, შენიშვნების, შემოთავაზებების მისაღებად. მიღებული კომენტარები, შენიშვნები და შემოთავაზებები განიხილება ერთობლივად ორივე გუნდის ექსპერტებთან და შეჯერებული ვარინატი აისახება საბოლოო ანგარიშში, რომელიც წარედგინება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

3. კლინიკური აუდიტორის/ექსპერტის მოვალეობები და პასუხისმგებლობები

კლინიკური აუდიტორის/ექსპერტის ძირითადი მოვალეობებია:

ა) აუდიტის და ანგარიშის სტანდარტული ფორმის შემუშავება - სხვა აუდიტორებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლინიკური აუდიტის ჩასატარებლად საჭირო სტანდარტული მიდგომის ჩამოყალიბების პროცესში, რომლის საბოლოო შედეგს წარმოადგენს სტანდარტული შეფასების და ანგარიშგების ფორმა. დროის დაზოგვის მიზნით ექსპერტებს მიეწოდებათ საერთაშორისო ფონდ კურაციოს პროექტის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ მომზადებული სტანდარტული შეფასების და ანგარიშგების ფორმა, რომელთა დახვეწა და საბოლოო სახით წარმოდგენა მოხდება ორივე გუნდის ექსპერტების აქტიური თანამონაწილეობით.

ბ) აუდიტის ჩატარება და ანგარიშგება:

კლინიკური აუდიტორი/ექსპერტი ვალდებულია:

- სამინისტროს მიერ შერეჩეულ COVID-19 მიმღებ კლინიკაში დადგენილი წესით შეარჩიოს უკვე დასრულებული (გაწერილი ან გარდაცვლილი) და მიმდინარე შემთხვევები (იხილეთ კლინიკური აუდიტის განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო);

- სრულყოფილად და კვალფიციურად ჩაუტაროს აუდიტი შერჩეული სამედიცინო დოკუმენტაციას და შედეგები განიხილოს სამედიცინო დაწესებულების კლინიცისტებთან და მიაწოდოს კონკრეტული რჩევა დარიგეგებები;
- აუდიტის პროცესში მკაცრად მისდიოს დადგენილ წესებს;
- თითოეულ შემთხვევაზე წარმოადგინოს აუდიტის შედეგად აღმოჩენილი კლინიკური მართვის ძლიერი და სუსტი მხარეები;
- რთულ და საკამათო საკითხებზე გაიაროს შესაბამისი კონსულტაციები სხვა აუდიტორებთან/ექსპერტებთან გუნდის შიგნით და წერილობით წარმოადგინოს კონსულტაციების საფუძველზე გამოტანილი დასკვნები;
- სხვა აუდიტორებთან/ექსპერტებთან და საერთაშორისო ფონდ კურაციოს გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობით: ა) ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები COVID-19-ის კლინიკური მართვის შემდგომი გაუმჯობესებისთვის; ბ) შეიმუშაოს რეკომენდაციები კლინიკური აუდიტის შეფასების ფორმაში შესატანი ცვლილებების თაობაზე; და გ) საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს სამინისტროს წინადადებები COVID-19-ის ეროვნული კლინიკური მართვის სახელმწიფო სტანდარტში საჭირო ცვლილებების შეტანის თაობაზე.

გ) კლინიკური აუდიტის საბოლოო ანგარიში: COVID-19-ის კლინიკური აუდიტის საბოლოო ანგარიშის ფორმირებისთვის წარმოადგინოს ანგარიშთან და რეკომენდაციებთან მიმართებით კომენტარები და მოსაზრებები.

4. ანგარიშგება და განრიგი

მოვალეობა	**პასუხისმგებელი**	**სავარაუდო დასრულების თარიღი**	**საბოლოო დოკუმენტი**
აუდიტის ჩატარება და ანგარიშგება	ყველა კლინიკური აუდიტორი/ექსპერტი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კვირის განმავლობაში	თითოეული შემთხვევის კლინიკური აუდიტის შევსებული ფორმა და ანგარიში
კლინიკური აუდიტის საბოლოო ანგარიში	ყველა კლინიკური აუდიტორი/ექსპერტი	კლინიკური აუდიტის საბოლოო ანგარიშის მიღებიდან 1 კვირის განმავლობაში	წერილობითი კომენტარები, ზოგადი რეკომენდაციები და რეკომენდაციები სახელმწიფო სტანდარტის გასაუმჯობესებლად

5. პროექტის მართვა

პროექტის მართვას ახორციელებს საერთაშორისო ფონდი კურაციო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პროექტის ფარგლებში აქტივობების დაგეგმვა/კოორდინირებაზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ფონდ კურაციოს პროექტის მენეჯერი. პროექტის ფარგლებში შესამუშავებელ ყველა ტექნიკურ დოკუმენტზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ფონდ კურაციოს ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

კლინიკური აუდიტორების შერჩევას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. კლინიკური აუდიტის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, აუდიტი გაუთქმელობის და ეთიკური ნორმების შესრულების თაობაზე ხელს აწერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ სპეციალურ ფორმაზე.

კლინიკურ აუდიტორს/ექსპერტს შრომით ხელშეკრულებას უფორმებს საერთაშორისო ფონდი კურაციო. შესაბამისად, კლინიკური აუდიტორის შრომითი ანაზღაურება მოხდება საერთაშორისო ფონდ კურაციოს მიერ.

ანაზღაურება განხორციელდება სამ ეტაპად:

1. ავანსი კლინიკური აუდიტის დაწყებამდე, რომელიც ფარავს სამივლინებო ხარჯებს და ითვალისწინებს მივლინების დღეების რაოდენობას (ანაზღაურებას ექვემდებარება დღეში მინიმუმ ოთხი შემთხვევა).
2. აუდიტის დასრულების და თითოეული შემთხვევისთვის შევსებული აუდიტის ანგარიშის ფორმის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 დღისა - შემთხვევათა აუდიტის მთლიანი ანაზღაურების 80% (თითოეულ შემთხვევაზე ანაზღაურება განსაზღვრულია 25 $-ით)
3. აუდიტის საბოლოო ანგარიშზე წერილობითი კომენტარების, ზოგადი რეკომენდაციებისა და სახელმწიფო სტანდარტის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 დღისა - შემთხვევათა აუდიტის მთლიანი ანაზღაურების 20%

6. პასუხისმგებლობები:

კლინიკური აუდიტორი/ექსპერტი პასუხისმგებელია:

- დაკისრებული მოვალეობების პირნათლად და განუხრელად შესრულებაზე;
- დაკისრებული მოვალეობების დადგენილ ვადაში დასრულებაზე
- კლინიკური აუდიტის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ დაიცვას ეთიკური ნორმები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გაუთქმელობის პრინციპები; ამ პასუხისმგებლობას იღებს საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ სპეციალურ ფორმაზე ხელისმოწერით
- მიიღოს აქტიური მონაწილეობა პროექტის მსვლელობაში დაგეგმილ ვირტუალურ შეხვედრებში

7. კლინიკური აუდიტორის/ექსპერტის მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი სამედიცინო განათლება,
- სპეციალიზაცია თერაპია, ინფექციურ დაავდებებსა და/ ან კრიტიკულ მედიცინაში
- პრაქტიკულ მედიცინაში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება;
- პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება შემდეგ კლინიკურ სფეროებში: თერაპია, ინფექციური დაავადებები, პულმონოლოგია, კარდიოლოგია, კრიტიკული მედიცინა/რეანიმაცია სულ მცირე 5 წლის განმავლობაში
- COVID-19-ის კლინიკური მართვის გამოცდილება
- სასურველია სამედიცინო ასოციაციის წევრობა
- სასურველია სწავლების გამოცდილება

პიროვნული თვისებები:

- ობიექტურობა;
- პატიოსნება;
- პრინციპულობა;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- კომუნიკაბელურობა - ეფექტური წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- თვითგანვითარებისკენ მუდმივი სწრაფვა;
- კონფიდენციალობის დაცვის უნარი;
- სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;
- დროის განაწილების/მართვის უნარი;
- მოწესრიგებულობა და დეტალების მიმართ ყურადღების გამოჩენა.

8. დამატებითი ინფორმაცია:

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ შეავსოთ რეზუმე მოწოდებული ფორმის მიხედვით. თქვენს მიერ მოწოდებული რეზიუმე "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები სამინისტროს და საერთაშორისო ფონდ კურაციოს მხრიდან დამუშავდება თქვენთან სახელშეკრულებო, მათ შორის შრომითი ურთერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის.

9. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

დაინტერესებულ ექსპერტებს/კანდიდატებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია ქართულ ენაზე:

1. რეზიუმე თანდართული ფორმატის მიხედვით
2. დიპლომის ასლი
3. შესაბამისი კლინიკური საქმიანობის/ლიცენზიის დამადასტურებელი დოკუმენტი

დანართი: რეზიუმეს ფორმატი

ექსპერტის სახელი და გვარი

დასაკავებელი თანამდებობა	კლინიკური აუდიტის ექსპერტი
ეროვნება	
ქვეყნები სადაც გაქვთ მუშაობის გამოცდილება	
ენების ცოდნა	ქართული ინგლისური რუსული სხვა
განათლება	
სამუშაო გამოცდილება	

დასაქმების ჩანაწერი		
მუშაობის პერიოდი	*დამქირავებელი*	*დაკავებული თანამდებება და მოვალეობები*

სამეცნიერო პუბლიკაციები:

ხელმოწერა